უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 22 0000788947

11/07/2022

შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლი დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის, ამავე მუხლის 2^2 პუნქტის, მე-14 მუხლის, მე-16 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56^4 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, მე-8 პუნქტის, 79-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 83-ე მუხლის, 103-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს (ს/კ: 204379083) უარი ეთქვას ავტორიზაციის მინიჭებაზე.
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის შუამდგომლობისა და დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი 2022 წლის 27 ივნისიდან 2022 წლის 1 აგვისტომდე დაასრულონ შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 ივლისის №788891 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. გადაწყვტილება, გარდა ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტისა, ძალაში შევიდეს 2022 წლის 27 ივნისიდან. გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ძალაში შევიდეს 2022 წლის 1 აგვისტოდან.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

   დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა